

ქალაქ ფოთის აკვატორიის მორფოდინამიკური პროცესების თავისებურებანი

ხატია წიკლაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო
ფაკულტეტზე გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემების ტექნოლოგიებში გეოგრაფიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჯანელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

(მიმართულება - გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები)

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხატია წიკლაური

21.06.2017

სარჩევი

აბსტრაქტი	4
Abstract	5
1.შესავალი	6
1.1 ზოგადი მიმოხილვა.....	6
1.2 თემის აქტუალობა.....	11
1.3ზღვის დონის ცვალებადობის მიზეზები.....	11
1.4 გლობალური დათბობის გავლენა.....	14
2. რეგიონის ზოგადი აღწერა.....	17
2.1 ბუნებრივი პირობები.....	17
2.2 მდებარეობა და საზღვრები	18
2.3 გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა.....	18
2.4სასარგებლო წიაღისეული	18
2.5 ჰავა	19
4. ქალაქის ზოგადი დახასიათება.....	19
4.1 ბუნებრივი საფრთხეები.....	22
4.2 ტრანსპორტი და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა	23
4.3 პარკები და ნარგავები.....	24
4.4 წყლის რესურსები და წყალმომარეობა	25
4.5 ენერგოეფექტურობა	26
4.6 ინდუსტრია/წარმოება.....	26
4.7 ნარჩენების მართვა.....	27
4.8 ადგილობრივი თვითმმართველობა.....	28
5. საქართველოს სანაპირო ზონის მოწყვლადობა და მისი შეფასება	28
5.1 ცენტრალური რაიონის მოწყვლადობის შეფასება	28
6. ცენტრალური რაიონის განსაკუთრებით საშიში უბნების ადაპტაცია და სამოქმედო პროგრამები	30
7. დასკვნები და რეკომენდაციები.....	33
გამოყენებული ლიტერატურა.....	38

აბსტრაქტი

გლობალური დათბობისგან გამოწვეული, მსოფლიო ოკეანის დონის განუხრელი ზრდისა და ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად ინტენსიურად ხდება საქართველოს სანაპირო ზოლში ნაპირების წარეცხვა და ზღვის ხმელეთის შიგნით გადმონაცვლება. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა ქალაქ ფოთის სანაპიროზე. მნიშვნელოვანია ფოთის სანაპირო ზონის მორფოდინამიკური პროცესების შესწავლა, მათი განსაზღვრა და შესაბამისი რეკომენდაციების დადგენა ფოთის სანაპირო ზონის წარეცხვის მასშტაბის შესამცირებლად.

კვლევის მიზანია დადგინდეს ფოთის სანაპირო ზოლში მიმდინარე მორფოდინამიკური პროცესების თავისებურებანი, მოხდეს მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზი, მომავალში მოსალოდნელი სანაპიროს დეგრადაციის მასშტაბების განსაზღვრა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, აღნიშნული პროცესების პრევენციისა და კონტროლისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გლობალური დათბობა, ზღვის დონის ზრდა, ფოთი, სანაპიროს დაცვა

Abstract

As a result of the global ocean level rising and the anthropogenic impact caused by global warming, it is intensively transmitted to the coast of Georgia on the shore of the sea and shifting inside the sea. This problem is particularly acute on the Poti coast. It is important to study the morphodynamic processes of the coastal zone of Poti, to identify them and to identify relevant recommendations to reduce the scale of the shaking of Poti coastal zone.

The goal of the research is to determine the peculiarities of the current morphodynamic processes in the coast of Poti, to analyze their causes, to determine the size of the expected coastal degradation in the future and to develop relevant recommendations for prevention and control of these processes.

Key words: Global warming, Sea level rising, poti, Coastguard